# მხიარული ფიქრები

აზა წახლოანიძე



აზა ბასლანიძე

# მხიარული ფიქრები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

უაკ.(UDC) 82-93:821.353.1-1
ბ-29

ISBM 978-9941-20-738-2

რედაქტორები:

კობა არაბული

ალეკო გაბელაია

ილუსტრატორ - დიზაინერი:

ლოლიტა ხუბუა

© გამომცემლობა "მერიდიანი", 2013

© აზა ბასლანიძე

# ვარდობისთვეს მოგილოცავ

ცხრათვალა მზე ჩვენ გვიღიმის,
რა ნათელი დღეებია!
ვარდებს თავს რომ ევლებიან
ფრთაფარფატა პეპლებია!

ველ-მინდვრებზე ყვავილების
ფერთა ანაფერებია.
ხმაჭიკჭიკა ჩიტუნებიც
ბუდეს მოეფერებიან.

ლოდინისგან გათანგული
დააბიჯებს გაზაფხული
და ნამქერში ჩაკარგული
აჩუხჩუხდა ნაკადულიც.

თეთრად ყვავის ალუბალი,
ზურმუხტია მთა და მდელო.
ვარდობისთვეს მოგილოცავ,
ჩემო ტურფა, საქართველო!

# საქართველო

ჩემი ტკბილი სამშობლო, –
კავკასიის მთებია!
ზღვის ტალღები გუგუნით, –
ნაპირს ეხეთქებიან!

მწვანე მოლი ხასხასა,
ზედ პატარა ოდები.
ვენახები, ბაღები,
მობიბინე კორდები!

ძველი ციხე-კოშკები,
წყაროები ანკარა,
მოშრიალე ტყეები,
ცაში ფრინველთ კამარა!

ჩემი ტკბილი სამშობლო,
ქვეყანად მხოლოდ ერთია.
იბერია ქართველთა, –
სალოცავი ღმერთია!

# დედას

– ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო, –
ამოიდგი ენა!
ჩემს დედიკოს ეამება
ჭიკჭიკი და სტვენა.

ქარო, ქარო ნიავქარო,
როცა ქროლვით ტკბები,
გთხოვ, რომ აღარ აუწეწო
ჩემს დედიკოს თმები.

ის უსაზღვრო სიყვარული,
რასაც ქვეყნად ვხედავ,
ეს ხომ შენი თვალებია,
საყვარელო დედა.

როგორ მინდა, როგორ მინდა,
რაც ვარდია ქვეყნად,
ყველა შენ რომ დაგიკრიფო
და მოგართვა ერთად!



# მელას სკივრი

ჯადოსნური სკივრი მაქვსო! –
გაიძახის მელია.
მაგრამ გახსნას ვერ ახერხებს,
სკივრის გახსნა ძნელია.

გასაღები მოიპარა
თურმე ყვავმა-ყვანჩალამ,
მერე ფრთა ფრთას შემოჰკრა და
სადღაც წააჩანჩალა.

# გაზაფხული მოდის

ენძელამ თქვა: – ჩემთან ერთად,
გაზაფხულიც მოდის!
მე რომ არა, გაზაფხული,
მოვიდოდა როდის.

კვირტი ამბობს: – ტყეს ჩავაცვი
მწვანე ფარჩის კაბა.
ჩემს გარეშე გაზაფხული,
ვის უნახავს აბა?

მორბის, მორბის, მორაკრაკებს
მთიდან წყაროს წყალი. –
გაზაფხულდა! როცა წყარომ,
გავახილე თვალი.

– ჩიტუნებმა გადმოვლახეთ
შორეული გზები,
გაზაფხული მოვიყვანეთ
პაწაწინა ფრთებით.

• • •

ცხრათვალა მზე ცის ლაჟვარდში
ათას ფერად ელავს,
და ღიმილით, ოქროს სხივებს,
უხვად აფრქვევს ყველას!

# კარტოფილი

იძახიან კიტრები:
შემოგვხედეთ ნამით!
ძალზე ლამაზები ვართ,
შემოსილნი მწვანით.

შეიმოსა კომბოსტოც
ასი კაბით ერთად,
გოგრამ შემომანათა
ჩვენს ბაღჩაში თეთრად.

დაიმშვენა პომიდორმა
მაისური წითელი,
ლიმონსა და მანდარინს
ქათიბი აქვთ ყვითელი.

სოკოების ქუდები
ნაირ-ნაირ ფერისა.
მოდის მიმდევარები
დახეთ, რარიგ ბევრია!

. . .

მოდის ამბავს, ვერასოდეს
ვერ იგებდა კარტოფილი.
სიბნელეში იზრდებოდა,
თანაც იყო კმაყოფილი.

# საფრთხობელა

რა ხანია ჩვენს ყანაში
საფრთხობელას ვხედავ.
თუ გაწვიმდა, მისთვის ქოლგა,
სად ვიშოვო ნეტავ?



# თაგუნები

თაგუნები სასეირნოდ
გამოდიან, როცა ბნელა,
როს სიჩუმე ისადგურებს,
დაიძინებს სახლში ყველა.

თაგუნებს კი თათები აქვთ
სათუთი და ძალზე რბილი,
რათა ჩუმად ინავარდონ,
არ დაუფრთხონ ფისოს ძილი.

ნაცრისფერი მოსავთ ჯუბა,
რომ არ მოჰკრან უცბად თვალი.
კუდიც აქვთ პაწაწინა,
რომ დაფარონ ალი–კვალი.

თაგუნები სასეირნოდ
გამოდიან, როცა ბნელა,
როს სიჩუმე ისადგურებს,
დაიძინებს სახლში ყველა.





# დავიძინებ ტკბილად

თუ მომართმევს ტკბილზე ტკბილი
შოკოლადის ფილას,
სიტყვას გაძლევთ, იმის მერე, –
დავიძინებ ტკბილად.

# მზე და პომიდორი

პომიდორის ლოყები
ჯერაც მწვანე ფერია.
ასეთივე და-ძმანი
მის გარშემო ბევრია.

ცხრათვალა მზე იცინის,
ათას ფერად ელავსო,
გაიძახის, – მაცალეთ,
გავაწითლებ ყველასო!

# მზე და წვიმა დაობენ

მზე და წვიმა დაობენ,
ციდან ისმის განგაში.
წვიმას უნდა შხაპუნი,
მზეს კი უნდა კაშკაში.

მე ვანათებ ქვეყანას! –
მზე იცინის ცხრათვალა.
წვიმა თავქვე დაეშვა,
სიტყვის თქმა არ აცალა!

ცაზე მზეა კაშკაშა,
წვიმაც მოდის წანწკარა.
დახეთ, მზე პირს იბანსო! –
გალობს ჩიტი ნაცარა.

# გაზაფხულზე

ტყემ ჩაიცვა მწვანე ფარჩა,
ზამთარი კი უკან დარჩა.
თვალს ახელენ ყვავილები,
ლოდინისგან დაღლილები.

სიცივეზე ასე გამწყრალს,
გაეღვიძა ფეტვის მარცვალს.
გაცოცხლება იწყო კორდმა
და გაშალა მხრები ყლორტმა.

# პინგვინები

დედას მწკრივად მიჰყვებიან
პინგვინები პაწია.
ზამთარსა და ზაფხულში
შავი ფრაკი აცვიათ.

ირგვლივ თვალუწვდენელი
გაყინული ზღვებია,
სიცივეს და ქარბუქსაც,
სიხარულით ხვდებიან!



# თუთიყუში არა

ჩიტუნები ამქვეყნად,
რა თქმა უნდა, ბევრია,
მაგრამ იგი სულ სხვაა,
ცისარტყელას ფერია.

რახანია ვმეგობრობთ...
საოცარი ისაა,
თუთიყუშიც ჩემსავით
ზუსტად შვიდი წლისაა.

ვთხოვე, ვთხოვე ესწავლა
თუნდაც ერთი ლექსი.
საგანგებოდ შევურჩიე
სულ იოლი ტექსტი.

დღეიდან კი ჩვენს შორის
მეგობრობა კმარა!
რადგან ყველა თხოვნაზე,
პასუხს მაძლევს: – არა!



# ზამთარია

ქვეყანად მეფობს ფერი ერთი,
ცა და მიწა არის თეთრი!
ფიფქი უყვარს თოვლის პაპას,
ველ-მინდვრებს რომ თეთრად ხატავს.

ფანტელები ცვივა ციდან,
დასრიალებს თოვლში ციგა.
ლეკვი მისდევს ციგას ყეფით,
რაღა უნდათ ბავშვებს მეტი?



პატარებს კი გუნდაობა
მოსწყინდებათ ნეტავ როდის...
ზამთარი კი ძალას იკრებს, –
თოვლი მოდის! თოვლი მოდის!

ბუხარში კი ცეცხლის ალი
გუგუნებს და ყვება ზღაპარს.
ფისუნია ბუხართან წევს,
კრუტუნებს და თვალებს ნაბავს.

# მამალი და მელია

კუდაგრძელა მელია
გზაზე შეხვდა მამალს.
სიხარულით შესძახა:
ვაჰ, ვის ვხედავ ამას!

გამარჯობა, მამალო,
გამარჯობა შენი!
ეგ, წითელი ბიბილო,
იცი, რარიგ გშვენის?

– შენც მომწონხარ ძალიან,
გხატავს გრძელი კუდი.
მეგობრობა ჩვენ შორის,
არ იქნება ცუდი.

– ეს რა აზრი მოგსვლია,
მამლაყინწავ თავში.
სოროში თუ დაგპატიჟე,
რაღას იზამ მაშინ?

# საქმიანი ვაცი



ვაცი ამბობს: საძოვარზე
წავიყვანო უნდა ფარა
და ყოველდღე იქით-აქეთ,
გავიარო გრძელი შარა.

აბა, საქმეს რა გამოლევს?
სადარდო აქვს მართლაც ბევრი,
რაც ყველაზე მთავარია:
აცანცაროს უნდა წვერი!



# თოვლის პაპას ხურჯინი

თოვლის პაპა ჩვენთან სტუმრობს,
ახალი წლის ზღაპრულ ღამეს.
ხურჯინი აქვს ჯადოსნური,
ბავშვებს გვჩუქნის ათას რამეს.

როცა მოვა გაზაფხული,
კვლავ აიღებს ხურჯინს პაპა,
თოვლს და ყინვას შიგ ჩააწყობს
და გაქრება ნისლში სწრაფად.



# ჭია-მაია

წყაროსთან ჭია-მაია,
ათვალიერებს კაბას.
ფიქრობს, ასეთი კაბა,
სხვა ვინმეს თუ აქვს, არა?

მინდვრის ყვავილებს, ალბათ,
ჩემზე დარჩებათ თვალი.
– მშვენიერი ხარ მართლაც! –
ლიკლიკებს წყაროს წყალი.

# ბარტყები

იცით, თურმე ჩიტუნიას
ბარტყები ჰყავს პაწაწინა.
პირტიტველა ბარტყებია
თავად ვნახე ამასწინათ.

დედა ჩიტი შვილებისთვის
ეზიდება მუდამ საკვებს.
თვალი ჯერ არ ახილავთ,
პირს კი, ყველა ერთად აღებს!

# ბაბუაწვერა



ბაბუაწვერა მქვიაო,
ამბობს ყვავილი ერთი.
ყვითელი ქუდი ეხურა,
დღეს კი ამშვენებს თეთრი.

ქარი რომ ამოვარდება,
მაშინ ყვავილი ღელავს.
ლამაზი ქუდის ბუსუსებს,
იცის, წარსტაცებს ყველას.

# კურდღელმა თქვა

კურდღელმა თქვა: — ბეჯითი ვარ,
კარგად ვიცი გაკვეთილი.
მასწავლებელს ისე ვუსმენ,
ყურები მაქვს დაცქვეტილი!





# აკვარიუმი

ყველას მუნჯი ვგონივარ,
ამას კარგად ვხედავ.
თავად, წყალში საუბარი,
თუ უცდიათ ნეტავ?

# თხუნელა და ზღარბი

– მეგობარო თხუნელავ,
მითხარ რატომ ტირი? –
ვერა ხედავ, ზღარბუნავ,
წვიმებია ხშირი!

კარები რომ ჰქონოდა
ჩემს მშვენიერ სოროს,
განა წყალი დატბორავდა
დერეფნების ბოლოს?

– ნუთუ, ამან შეგაშინა,
ჩამოვკიდოთ კარები!
ჩვენ ხომ მეგობრები ვართ,
ძმურად დაგეხმარები.

თხუნელა კი აგრძელებს:–
ჩემს სოროში ბნელა!
ზღარბმა უთხრა: – ასეთ დროს,
სანთელს ანთებს ყველა!

სორო რომ განათდება,
სხვა ექნება ხიბლი.
კარზეც მოგიკაკუნებ და
სტუმრად ხშირად ვივლი.



# სოკო

სოკო მქვია სახელად,
გავიზარდე ტყეში.
თავზე ქუდი მახურავს,
მიყვარს წვიმის თქეში.

ალიონზე მაღვიძებდა
ჭიკჭიკი და სტვენა.
ყურს ატკბობდა ნაკადულის
მორაკრაკე ენა.

მახარებდა მზის სხივებზე
მოელვარე ცვარი,
უშფოთველად მიდიოდა,
იქ, ცხოვრება წყნარი.

დღეს კი, სოკო კალათებით
სახლში მიაქვს ლელას.
კალათაში როგორ გავჩნდით? –
თავად გვიკვირს ყველას.



# ბედნიერება

დედამ მშვიდობის ფასი
ყველაზე კარგად იცის.
დედამ, რომელიც ისმენს
ბავშვის წკრიალა სიცილს.

ხედავს მტრედისფერ ზეცას
და მოფარფატე მტრედებს.
პაწია ნაბიჯს დგამს და
თვალებით დედას ეძებს.

# შემოდგომის ფოთლები

შემოდგომის ფოთლებია,
გეგონებათ ცოცხლდებიან.
თავზე ისევ მევლებიან,
თითქოს, ოქროს პეპლებია.

შფოთიანი ამინდია...
ნეტავი და სად მიდიან?...
შემოდგომის მაყრებია,
აშარ ქარებს გაჰყვებიან!

# დააცადეთ პაწიას

ფერად წიგნებს ფურცლავენ
პაწაწინა თითები.
წიგნებშია ზღაპრები,
ლეგენდები, მითები.

– მომიყევი, მარიამ,
წაკითხული ზღაპარი!
– დააცადეთ პაწიას,
ჯერ ორი წლის არც არი.

# ჯეჯილი

– დახეთ, რარიგ იქცევიან
პურით სავსე თავთავები? –
მშობელ მიწას მოწიწებით,
დაუხარეს მათ თავები.

# მჭადებს აცხობს ბებო

ბებო ყვება ზღაპარს,
თან აჩაღებს ღადარს.
ველოდებით მჭადებს,
თეფშებზე რომ დადებს.

ზღაპარს ვუსმენთ ყველა,
დრო კი გადის ნელა.
მჭადებს აცხობს ბებო, –
მართლაც სანაქებოს.

# მზე თამაშობს ლურჯ ტალღებში

მზე თამაშობს ლურჯ ტალღებში
კაშკაშებს და ელავს! –
თურმე ზღვაში ბანაობა
ყვარებია ყველას.

# მელას იავნანური

– ჩემო კარგო, პაწაწინა მელავ,
შენს სიცოცხლეს შემოევლოს ყველა.

ალმასივით რომ გექნება კბილი,
საქათმისკენ სულ ცუნცულით ივლი.
არასოდეს შეგემთხვევა ცუდი,
რადგან გიცავს ჩემი ოქროს კუდი.

ყველგან გიცავს, რომ არ გეცეს თვალი,
და დამალოს მტრისგან შენი კვალი.
ჩვენს სოროს კი, ვერასოდეს ვერა,
მონადირე ვერ მოაგნებს მჯერა.

ჩემო შვილო, პაწაწინა მელავ,
შენს სიცოცხლეს შემოევლოს ყველა.





# მზესუმზირა

– მზესუმზირა, დედი,
მზეს რად უმზერს ნეტა? –
ცხრათვალა მზე შვილო,
არის მისი დედა.

მოკაშკაშეს ცაზე,
თვალს აყოლებს მუდამ.
მას ხომ დედის სითბო
და ალერსი უნდა.

მზე ღიმილით ავსებს,
როს ნათელი დღეა.
მზესუმზირაც შვილო,
პაწაწინა მზეა.





# კბეზარი ფინია

ნაყინი რომ ვიყიდე,
ამედევნა ფინია.
ალბათ, იგრძნო ფინიამ,
მისი რომ მეშინია.

ვხედავ, ახალ მეგობარს,
ვერსად დავემალები.
ცოტა მეც მაჭამეო, –
მთხოვენ მისი თვალები.

წუთით აღარ მშორდება,
დამდევს კუდის ქიცინით.
მე კი, რა დამრჩენია? –
გავრბივარ და ვიცინი.

# რას იზამდა ბეჰემოთი

– რას იზამდა ბეჰემოთი,
რომ აიდგას ენა? –
რა თქმა უნდა შეეცდება
არ დამალოს წყენა.

ასე იტყვის: – ზოოპარკი,
აღარ მინდა, არა!
ისევ უკან, აფრიკაში,
დამაბრუნეთ ჩქარა!



# ასფეხა

რა მინდაო ასფეხამ?
– ფეხსაცმელი ასი!
რიგრიგობით იზომებს,
არ ადარდებს ფასი.

მართალია, დახლზეა
ფეხსაცმელი ბევრი,
მაგრამ, ყველა აღმოჩნდა
სულ სხვადასხვა ფერის!

ასე აჭრელებული,
ახა, როგორ ივლის?
მისი გავლა-გამოვლა,
მნახველს მოგვრის ღიმილს.

ერთნაირის ძებნაში
სხვებიც ვეღარ შველიან,
ამიტომაც ასფეხა
დღემდე ფეხშიშველია!

# მარიამი

ვერ გაიგებ ვინ ვისა ჰგავს
ვისი დასადარია,
მარიამი ვარდებს ჰგავს თუ,
ვარდები ჰგავს მარიამს.



# მხიარული წვეთები

მხიარული წვეთები
ალმასივით ბრწყინავს.
სად ცხოვრობენ წვეთები?
უნდა ვკითხო წვიმას.

და გაისმა წკრიალა,
მოკისკასე ხმები: —
ჩვენი სახლი ღრუბელია,
ღრუბლებიდან ვჩნდებით.

ცაზე ვცურავთ ნარნარად
მე და ჩემი დები.
დრო მოვა და ღრუბლებს,
ყველა ერთად ვწყდებით.

ვერცხლისფერი კაბები,
რა საოცრად გვშვენის!
წკაპა-წკუპი, წკაპა-წკუპი,
სიმღერაა ჩვენი.

# ციყვი

ციყვის სახლი – ფუღურო,
მშრალია და თბილი.
ხავსისაგან ლოგინი აქვს
ფაფუკი და რბილი.

ძალზე უყვარს გირჩები,
კაკალი და თხილი.
ლამაზ სიზმრებს დაასიზმრებს
ღამეული ძილი.

ფუღუროდან რა მოჩანს? –
საოცარი ბუნება!
მის ყურს ფოთოლთ შრიალი,
ტკბილად ელამუნება.

ოქროსფერი კუდი აქვს და
მძივებივით თვალები.
ციყვო, ასე ლამაზო,
მითხარ, რად მემალები?



# კოდალა

მწვანე ტყეს რომ უმკურნალოთ,
სულ არაა ადვილი.
კოდალა კი ამ საქმეში,
ექიმია ნამდვილი.

ყურადღებით სინჯავს ტყეებს,
ეს პაწარა ფრინველი,
რათა მერე გაუწიოს
დახმარება პირველი.

ამიტომაც აკაკუნებს,
ცდილობს მატლის მიგნებას.
დროზე უნდა ყველას შველა,
თორემ, გვიან იქნება...

სნეულ ქერქში მატლის პოვნა
არის მისი ოცნება.
ხეს კი ეტყვის: – ეს ჭრილობა,
მალე შეგიხორცდება!



# ჩემი ბეკეკა

მას გაურბის ფისუნა,
მას გაურბის მურა.
რქენა რომ არ იყოდეს,
იქნებოდნენ ძმურად.

# ბაიმახის ბეჰემოთი

გაიძახის ბეჰემოთი:
საოცრებას ვხედავ!
მთების ტოლა გოლიათი
რამ გაზარდა, ნეტავ!

ვისაც გინდა, შეაშინებს
ამოდენა ხახა!
– მდინარეში ბეჰემოთმა
ორეული ნახა.

# ხახვი

– შემიძლია აგატირო
თუნდაც ერთი ნახვით!
ასე ამბობს და ამით,
თავს იწონებს ხახვი.

# მხიარული ფიქრები

გაზაფხული რით მხიბლავს?
– ნაირ-ნაირ ფერებით.
მინდვრის ტურფა ყვავილებს,
ნაზად მოვეფერები.

რა კარგია ზაფხულიც
ოდელია, დელია!
ველ-მინდვრები, ტყეები
ჩვენს სტუმრობას ელიან!

წითელ-ყვითელ ფერებით
შემოდგომა გვახარებს.
ოქროს ნოხებს ფოთოლთა
ფეხქვეშ გვიფენს პატარებს.

ჰოი, რა დრო გასულა,
ფარფატებენ ფიფქები.
საახალწლო ზეიმზე, –
ბედნიერი ვიქნები!

# ქოხში

ზღარბუნიებს ქოხი აქვთ
კერიათი გამთბარი.
აღარც თოვლი აშინებთ,
აღარც ცივი ზამთარი.

# მშობლიური მხარე

ზამთრის ქარი, იავნანას,
ვის უმღერის ნეტავ? –
იმ პაწია ჩიტუნიას,
მობუზულს რომ ხედავ.

ფანტელები ცვივა ციდან,
ყინვებია გარეთ.
მან კი მაინც არ დატოვა,
მშობლიური მხარე.

# ტრაბახა ყვავი



დილიდან რომ ჩხავის,
ეს ვინ არის? – ყვავი!
– რაო მერე ყვავმა,
ყრანჭალამ და შავმა?

ჩავიცვიო ფრაკი,
ფეხსაცმელი ლაკის.
კონცერტს ვმართავ ხეზე,
ბაფთაც მაქვსო ყელზე!

გაფრინდესო გუგული,
მომგვაროსო ბულბული!
სადა აქვსო ბულბულს
ამისთანა ფრაკი,
ან ასეთი პრიალა
ფეხსაცმელი ლაკის?

არტისტი ვარ ნამდვილი
ამ სამოსში მეო,
ნახეთ, ბულბულს სიმღერაშიც,
თუ არ ვაჯობეო!



# მამალი

– მამალს ოქროს დეზები აქვს,
ალისფერი ბიბილო.
მაღლა მზესაც გააგონებს,
ხმამაღლა რომ იყივლოს!

# ბაყაყი და ტივი

– ბაყაყმა რომ ტივი შეკრა,
ნასვლას საით აპირებს? –
გაცურავს და გაეცნობა
გუბის გაღმა ნაპირებს!



# პეპელა

ფრთაფარფატა პეპელავ,
მომენატრე ძალიან.
მოდი, დაჯექ მდელოზე,
ნუთუ, არა გცალია.

ჩუმად, ჩუმად მითხარი,
გაზაფხულის ამბები.
მე კი შენი ცქერით და
სინარნარით დავტკბები.



# მეგობრობა უნდა

დიდი ძაღლი იღრინება,
იღრინება მუდამ.
ლეკვს კი, ჩემთან თამაში და
მეგობრობა უნდა.

# ტკბილი კვერი

გადაწყვიტეს პატარებმა
გამოაცხონ ტკბილი კვერი.
ცომი უცბად გაამზადეს,
არ დასჭირდათ ფიქრი ბევრი.

ღუმელში კი კვერი მღერის:
– ხაბაზნი ხართ მაგარიო.
დაგავიწყდათ, გაგერიათ
ჩემთვის ჭიქა შაქარიო!

და დაასკვნეს პაწიებმა:
კვერის ცხობა რთულიაო!
ამ უშაქრო კვერს ვინ შეჭამს?
– ვინ და, ჩვენი მურიაო!

# ზღვაზე

მოლივლივე ტალღები,
ლაჟვარდების ფერია.
სადაც მზეა ცხრათვალა,
სიხარულიც ბევრია!

მზე ხომ ოქროს სხივებით,
ყველას მოეფერება.
დახეთ, ვით ავარაყებს
ბავშვებს ოქროს ფერებად!

# ცისარტყელა

მზე ღრუბლებში იმალება,
გაწვიმდება ნეტავ? –
გაწვიმდა და დაჟვარდ ცაზე
ცისარტყელას ხედავ!





# იხვი და ჭუჭულები

იხვმა დინჯად, რწევა რწევით,
მდინარისკენ გასწია.
უკან მწკრივად მიჰყვებიან
ჭუჭულები პაწია.

რა კარგია ეს მდინარე
მოლივლივე ტალღებით.
დაცურავენ ჭუჭულები
დედა იხვის თანხლებით.



ბოლოს კვატმა იკვატკვატა: –
ნაპირისკენ ჩქარაო!
არ გაცივდეთ, პატარებო,
ბანაობა კმარაო.

# ᲐᲐᲜᲗᲔᲑᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲐᲠᲐᲜᲡ

პაწია ციცინათელა
აანთებს ოქროს ფარანს,
როცა სიბნელე მეფობს
და სოფელს ბინდი ფარავს.

უღრანში ღამის ციალი
დათუნას, ტურას, მელას...
აღარ ასცდნენო ბილიკს,
გზას გაუნათებს ყველას.

და მეც მამშვიდებს ბინდში,
როს შიშთან მარტოდ ვრჩები,
ის მოციმციმე შუქი,
ის სიფრიფანა ფრთები.

# ᲐᲕᲘ ᲚᲔᲙᲕᲘ

– მითხარ ლეკვო, რასა ჰგავს,
საქციელი შენი?
აბა, ვის გაუგია,
სტუმარს დახვდე ღრენით.

დღეიდან რომ არა თქვან
შენზე რამე ცუდი,
როცა მოვლენ სტუმრები, –
აქიცინე კუდი!

# ნაზრობა ტყეში

კაჭკაჭმა გვახარა:
აქოჩრილი ტევრში,
ნაზრობა გაიხსნა
შუაგულ ტყეში.

ჰეჰელამ გამანდო,
— ვიყიდი ქოლგას.
ალისფერს შევარჩევ
ყაყაჩოს რომ ჰგავს.

კურდღელსაც ჰქონია
ოცნება ერთი, —
ზამთრისთვის სამოსი
მინდაო თეთრი.

თაფლი რომ ტკბილია
დათუნამ იცის,
ნაზრობის ბილიკებს
დაადგა ისიც.

შუაგულ ტყისაკენ
იჩქარის ყველა...
— ქათმებს თუ ჰყიდიან? —
კითხულობს მელა.

# დათუნია თეთრი ფერის

დათუნია თეთრი ფერის,
მზეს ხედავს და მზეზე მღერის.
ქათქათას, ვით თოვლის გუნდას,
გაირუჯოს ძალზე უნდა.
და აწვალებს კითხვა ერთი, –
რატომაა მუდამ თეთრი?



# ძაღლის ოცნება

თოვლსა და ქარში
მიცუნცულებს ძაღლი.
ოცნებაა მისი,
ააშენოს სახლი.

პაწაწინა სახლი,
რაც უნახავს ქვეყნად.
აგებული ქვისგან,
შეღებილი თეთრად.

ბუხრის ცელქი ალი, –
ოცნებაა ტკბილი.
ენატრება როგორ,
მას კერია თბილი.

აბა, რა ქნას მარტომ,
დახმარებას ელის.
სად არიან ნეტავ,
მეგობრები ძველი.



# განა ვინმე მოერევა

– განა ვინმე მოერევა
ფისუნია ფისოს?
იგი თურმე თათის დარტყმით
ღუნავს რკინის გისოსს.



საშინელი ბრჭყალები აქვს,
საშინელი ხახა!
კიდევ კარგი, თაგუნიავ,
ის სიზმარში ნახა.

# თუთიყუშის სიზმარი

გალიაში თუთიყუში
ასეთ სიზმარს ხედავს:
თითქოს, პალმის ტოტზე,
გვერდით უზის დედას.

ირგვლივ მართლაც ზღაპრული
ტროპიკული ტყეა,
ცაზე მზეა კაშკაშა
და ნათელი დღეა!

ქოქოსები პალმებზე,
ქანაობენ ნელა,
ლომები და ვეფხვები,
სალამს აძლევს ყველას!

• • •

ტროპიკული ტყეები
სიზმარია ტკბილი...
ჩუმად, ჩუმად თუთიყუშს,
არ დაუფრთხოთ ძილი.

# შეხვედრები

მინდვრის ჭურფა ყვავილები
თავის დაკვრით მხვდებიან.
თავის დაკვრა სალამს ნიშნავს,
მითხრა ჩემმა ბებიამ.

სოკოების ნახვის მერე
დაღვრემილი ვბრუნდები.
მათ ხომ ჩემთვის არასოდეს
მოუხდიათ ქუდები.

# მხიარული წვიმა

ხმა ჩამესმის ყურში,
როცა ტკბილად მძინავს.
მხიარული წვიმა
უშხაპუნებს მინას.

ასე ლაღი ცეკვა
ვინ ასწავლა წვიმას?
უშხაპუნებს მინას,
ალმასივით ბრწყინავს!

# სირაქლემა

ეჭვიც აღარ ეპარება
სირაქლემას იმაში, –
რომ ვერავინ ვერ იპოვის,
თავს თუ ჩაყოფს სილაში.



# აღარ მინდა ვჭამო ფაფა

– ეს რამხელა თეფშია,
რომ დამიდგა ბებომ?
თანაც ფაფით ამივსო,
ზედ მოასხა ერბო.

ნეტავ, რამდენ ფაფას ჭამს
გოლიათი სპილო? –
ერთი ლუკმა იქნება
მისთვის ასი კილო!

მოუნდება დათუნას
ალბათ კასრი მთელი,
თუ საუზმის ჭამაში
მიეშველა ბელი.

წრუწუნას კი ეყოფა
ერთი კოვზი ფაფა.
პაწაწაა, უფრო მეტი,
რაღად უნდა აბა?



. . .

ეხ, სადაა ჩემი ლეკვი,
პეპლებს დასდევს ალბათ,
აქ რომ იყოს, ჩემს გასაჭირს, –
გადაწყვეტდა სწრაფად!

# დილა

მამლაყინწამ დაიყივლა
და გათენდა დილა!
ფისუნიამ არაქანი
ამოსვლიპა ტკბილად.

ბალახს წიწკნის და აგრძელებს
ვაცი წვერის ცანცარს,
ჩიტუნია საუზმეზე
კენკავს ფეტვის მარცვალს.

ცუგრიასაც დააკვირდით,
თეფშზე უდევს ძვალი.
სოროში კი ორცხობილას
ხრავს წრუწუნა მხდალი.

ღრუტუნასაც ენატრება
გემრიელი ფაფა.
მაჭამეო! – და ბებიას
უკან მისდევს სწრაფად.

# ყველა ხეზე ჩიტი გალობს

ზურმუხტოვან ტყეებიდან,
კარგად ისმის მათი ხმები,
და პირველად ზამთრის მერე
ამ ზღაპრული ხმებით ვტკბები.

ყველა ხეზე ჩიტი გალობს,
ბუდეს თავზე ევლებიან.
მეჩვენება თითქოს ირგვლივ, –
მომღერალი ხეებია!

# მელია

– რატომ ტირის მელია,
სველი რად აქვს თვალიო? –
მამლაყინწა გაექცა
დარჩა ხახამშრალიო.

# პირველი თოვლი

ფისუნია პირველ თოვლს
გაოცებით უყურებს.
ყინვით მოუსარკიათ
ზედაპირი გუბურებს.

ფაფუკ თოვლში გაკვალულ
გზას კისკისით მივყვები.
გუბურები სადღაა? –
აყვიტყვიტდნენ იხვები.

# ეს ზამთარიც მიილევა

ეს ზამთარიც მიილევა
და აპრილიც მოვა.
აღარც სუსხი იქნება და
არ იქნება თოვა.

ჩიტუნიაც მოფრინდება
გაზაფხულთან ერთად,
ტყე ჩაიცვამს მწვანე ფარჩას
და მოქარგავს თეთრად.

# ზეკეკა

ტყისკენ გაკუნტრუშებას
სული მიშლიდა დედაო.
ურჩობას კი რაც მოჰყვა,
ამას თავად ვხედავო.

როცა მგელმა ტყის პირას
დამიკრიჭა კბილიო,
ისე ძლიერ შევშინდი,
იმის მერე ვტირიო.

კიდევ კარგი, იქ იყო
მეგობარი მურია,
რაც მან მოიმოქმედა,
მართლაც შესაშურია.

ერთი ძლიერ შეჰყეფა! –
მგელს დაეწყო კანკალი.
ჩირგვებისკენ გარბოდა,
ისე იყო დამფრთხალი.



# კურდღელი და ქოლგა

ქოლგით თავს რომ იწონებს,
კურდღელია პაწია.
ტყეში დახტის სკუპ-სკუპით,
რუხი კაბა აცვია.



# მძინარა დათუნია

არ უნახავს ნაძვის ხე
და არც წელი ახალი.
ბუნაგში წევს დათუნია
სიცივისგან დამფრთხალი

# ყვავი ზამთარში

მოგვაბეზრა ყველას თავი,
რახანია ჩხავის ყვავი.
ოცნება აქვს ახლა ერთი,
სად იშოვოს პურის ქერქი.

გადათეთრდა მთა და ველი,
თოვლი მოდის დღეა მთელი.
ისე მოჩანს თოვლში ყვავი,
თითქოს ლაქა იყოს შავი.

# ბატები

ვხედავ, თეთრი ბატები
მწკრივად ჩემსკენ მოდიან.
სადმე უნდა დავიმალო,
აგერ, დიდი ლოდია.

ფეხშიშველი არ შემნიშნონ,
არ დაიწყონ სისინი!
მიჯობს დროზე გავეცალო,
საშიშია ისინი!

# საახალწლო ნაძვის ხე

საახალწლო ნაძვის ირგვლივ,
გესმით როგორ მღერიან?
ჯადოსნური საღამოა –
დღეს ახალი წელია!

თოვლის პაპას მობრძანება
იცით როგორ გვახარებს?
რაც კი ქვეყნად გვინატრია,
პაპა გვჩუქნის პატარებს!

აი, რჩება ხუთი წუთი
და თორმეტი სრულდება,
საახალწლო ოცნებები
ყველას აგვისრულდება!

როცა წავა თოვლის პაპა
გაჰყვებიან ფიფქებიც.
ჩვენ კი მთელი წელიწადი
მათ ლოდინში ვიქნებით.

# ზღვა და წვიმა

წვიმის წვეთი მოკისკასე
ალმასივით ბრწყინავს!
მაგრამ დახეთ! წყალში ცურვა,
არ სცოდნია წვიმას.

წკაპა-წკუპით ზღვის ტალღებში
ჩაიკარგა ყველა.
ზღვა შეწუხდა, აბობოქრდა
და დაიწყო ღელვა.

# ბაყაყი

კარგად ცურავს წყალში,
ლაყუჩებსაც ბერავს,
მაგრამ წერა-კითხვა,
ვერ ისწავლა, ვერა.

კარგი იყო მისთვის
მასწავლებლის ყოლა.
გუბურასთან ახლოს,
რომ ჰქონოდა სკოლა.



# მეზღვაური ვიქნები

ოცნებებში დავცურავ,
არ მასვენებს ფიქრები,
როცა დიდი გავიზრდები
მეზღვაური ვიქნები!

დედამიწას შემოუვლით
მე და თეთრი გემი,
თოლიები იქნებიან
მეგობრები ჩემი.



# ღამის პეიზაჟი

წყალში მთვარის ანარეკლი
ქათქათებდა თეთრად,
პეიზაჟს კი ბაყაყები
უცქეროდნენ ერთად.

მაგრამ დახეთ, საიდანღაც
ამოვარდა ქარი
და უეცრად დაარღვია
იდილია წყნარი.

ცაზე მთვარეს მოაფარა
შავი ღრუბლის ფარდა!
ახა, ამას ვინ იზამდა
შმაგი ქარის გარდა?

წყალში მთვარის ანარეკლი
აღარ მოჩანს თეთრად.
არ მოჩანსო?! – ბაყაყები,
აყიყინდნენ ერთხმად.

# ციცინათელა

– ოქროსფერი ფარანი,
ვინ აანთო ნეტავ? –
ეს ხომ ციცინათელაა,
ნუთუ, ვეღარ ხედავ?

# იქ, სადაც...

წამიყვანს ჩიტუნა
და ვიფრენთ ერთად,
იქ, სადაც ღრუბელი
ქათქათებს თეთრად.

იქ, სადაც ლაჟვარდებს
არ უჩანს ბოლო,
მე და ის ჩიტუნა
ვიქროლებთ მხოლოდ...

* * *

ჩიტუნა ზეცისკენ
მარტოკა გაფრინდა,
არავინ იახლა
ფრინველთა ამქრიდან.

არც ჩემთან ინდომა
გვეფრინა ერთად,
იქ, სადაც ღრუბელი
ქათქათებს თეთრად.

# ზღარბუნა

– ზღარბო, ზღარბო, ზღარბუნა!
ბედმა ეს რა გარგუნა.
ეგ, ქაცვები ჩხვლეტია,
მართლაც მეტისმეტია.

მაკრატელი იყიდე,
გაიკრიჭე ქაცვები.
მაღაზიაც აქვეა,
ამ ბილიკს რომ გასცდები.

– ეგ ქაცვები, ბავშვებო,
ომში ძალზე მშველიან.
იცით, ვინ მყავს მეზობლად? –
მგელი, ტურა, მელია.



# გვირილები

ოქროსფერი ქუდები აქვთ,
ნამწამები – თეთრი.
როგორ გვანან ერთმანეთს,
დააკვირდით ერთი!

ველ-მინდვრებზე შეფენილი
გვირილების დედა,
ამ წყუპისყალ გვირილებს,
როგორ არჩევს ნეწა?



# ფისოები სახურავზე

ღამღამობით ფისოები
სეირნობენ ერთად.
სახურავზე ფისოები
ათენებენ თეთრად.

როცა ვკითხე, – ასე გვიან
რა უნდოდათ გარეთ,
მიპასუხეს, – სიმაღლიდან
კარგად ჩანსო მთვარე!

# ნაკადული

– მოჩუხჩუხე ნაკადულო,
ხმანკრიალა ნაკადულო,
რომ იცოდე, რა კარგი ხარ!
დამიცადე, რად გარბიხარ?

– მეჩქარება, უნდა შემხვდეს,
უთვალავი ნაკადული.
ფერდობებზე, ჭალებსა და
მინდორ-მინდორ გაფანტული.

ყველა ერთად, ერთ მდინარედ,
ზღვისკენ წასვლას ვაპირებდით.
რახანია გველოდება,
შორეული ნაპირები.

# მზეს დაეძებს ყველგან ქარი

შემოდგომა როცა დგება,
ღრუბლებია ცაზე ლეგა.
წამოვიდა წვიმის თქეში,
დაქრის ქარი უღრან ტყეში.

დანავარდობს აღმა-დაღმა,
და არ იცის რაა დაღლა.
არ დატოვა მთა და ბარი,
მზეს დაეძებს ყველგან ქარი.
ვერ პოულობს ვერსად ვერა...
ვიპოვიო! – მაინც სჯერა.

# მზე

მზეს, – ქვეყანას რომ ათბობს,
არ ჰყოლია დედა.
საოცარი პირდაპირ! –
ეს ვინა თქვა ნეტა?!
განა ვინმე არსებობს,
რომ არ ჰყავდეს დედა?

# წიწილები

— გათენდაო, გათენდაო! —
ყივის ჩვენი მამალი.
იქვე, კრუხი დაქოთქოთებს
წიწილების ამალით.

რომელიმე მათგანი
თუ უეცრად იწივლებს,
კრუხიც იქვე გაჩნდება,
თავს ევლება წიწილებს.

სათითაოდ დავთვალე,
სულ თორმეტი ცალია.
მოსწონთ მწვანე მინდორი,
დედაც უყვართ ძალიან.

აღარც ფისო აშინებთ,
აღარც ავი მურია,
დედის ფრთებქვეშ ცხოვრება,
მართლაც საამურია!



# ქონდრისკაცი

ძველისძველი ქოხი დგას,
სადღაც უღრან ტყეში.
ის ისეთი ცოცქნაა
ჩაეტევა ხელში.

როგორ მინდა გავაღწიო
ამ აქოჩრილ კორომს.
ქოხში თურმე მხიარული
ქონდრისკაცი ცხოვრობს.



# როცა წვება ბინდი

როცა წვება ბინდი,
როცა მარტო ვრჩები,
მოჩანს მთვარის შუქით,
მოქარგული გზები.

როგორ უყვარს მთვარეს,
ვერცხლის ძაფით ქსოვა.
სიზმრები კი, ალბათ,
ამ გზებიდან მოვა.

# ჭიანჭველები

მოფუსფუსე ჭიანჭველებს
განა ნახავთ დაღლილს?
მიზნადა აქვთ აშენება
მათ საერთო სახლის.

# ბურთები

თუ ჩაარტყი მაგრად თავში,
ავარდება ბურთი ცაში!
თუ უთაქე უფრო მაგრად,
სიხარულით დახტის მარდად!
ქვეყნად თურმე ასეც ხდება, –
ბურთებს მოსწონთ ცემა-ტყეპა!

# ბებია და ფუილიფუილი

შინიდან რომ გამოვედი,
მომაძახა ბებიამ:
– შორს ნუ წახვალ, პატარები
ხშირად იკარგებიან.

ეშინია გზა ამებნას,
სახლები ხომ ბევრია?
მაგრამ ბებოს ავიწყდება,
ჩვენს სახლთან რომ სკვერია.

# ჩემი კრავი

პაწაწინა ჩლიქები აქვს,
პაწაწინა რქები.
ლამაზია ჩემი კრავი,
მისი ცქერით ვტკბები.

ბამბის ქულა გეგონება
მოქათქათე თეთრად.
მე და კრავი მწვანე მოლზე,
დავსეირნობთ ერთად.

# გუბე

მოდის წვიმა წანწკარა,
აი, გუბეც დამდგარა.
წვეთ-წვეთობით გუბეს,
წვიმა უცხებს უბეს.

# ია და გაზაფხული

ჭიკჭიკის და სტვენის ხმაზე,
გაახილა იამ თვალი.
წყაროს წყალში ჩაიხედა, –
იქ კი, ია მოჩანს მკრთალი.

ასე ლურჯი ეს ხომ მე ვარ! –
აღტაცებით ამბობს ია,
გაზაფხულის მობრძანება
ტურფას ახლა შეუტყვია!



# დედა ჩიტი



– დღეს რამდენჯერ მოაკითხა
ჩიტუნიამ ბუდეს.
ბარტყებს, ყველას სათითაოდ,
პირში საჭმელს უდებს.

მთელი დღეა ვერ ისვენებს,
დაიღალა, ვხედავ.
ანი დედა-ჩიტუნია,
რაღას იზამს ნეტავ?..

სანამ ცაზე ბადრი მთვარე
აანთებდეს ლამპარს,
სულ ჭიკჭიკით მოუყვება
პაწაწინებს ზღაპარს!



# კბილის ექიმთან

ბორმანქანა არ მაშინებს,
ვარ ნამდვილი გმირი.
კბილის ექიმს როცა ვხედავ,
არასოდეს ვტირი.

კაბინეტში მასთან შესვლას
სიხარულით ველი.
ექიმი ხომ არც ლომია
და არც რუხი მგელი.

აი, ჩემი ჯერიც დადგა,
ეს რა ხდება ნეტა? –
კვლავ მუხლები მიკანკალებს,
კვლავ მამშვიდებს დედა.

# ტალღა

ტალღა ნაპირს ეშხეფება
და ჩურჩულებს თითქოს,
ეს ზღაპრული სილამაზე
დახატეო! – ითხოვს.

ტალღას თხოვნას შევუსრულებ,
ეს არ მიჭირს სულაც.
ჯოხით ვხატავ სველ ქვიშაზე
ნაირ-ნაირ სურათს.

რა დავხატე? – ზღვა და ნავი.
თევზიც, ნავისხელა,
მაგრამ ტალღამ ნახატები
თან წაიღო ყველა.

# ცაზე კაშკაშა მზეა

ლორთქო ბალახმა მზისკენ
თავი ასწია მაღლა.
სადღაც მამალი ყივის
და მეც ავდგები ახლა.

ცაზე კაშკაშა მზეა,
გვილოცავს ლამაზ დილას.
ფანჯრის რაფაზე ფისოს
ჩასძინებია ტკბილად.

# ფისოს ფიქრები

ვინ შეასწავლა ბულბულს,
გალობა ასე ტკბილი?
ან ხეზე მაღლა ჯდომა,
რომ ვეღარ გავკრა კბილი.

# მეღუზები

დაცურავენ მეღუზები
და მეც ვცურავ წყალში.
მეგობრობას რომ ვთავაზობ,
გასხლტებიან მაშინ.

გაშლილ ქოლგებს მაგონებენ,
როს არიან ერთად.
ზღვა რომ ღელავს, ლურჯ ტალღებში,
ლივლივებენ თეთრად!

# კურდღელი და მგელი

ქურდბაცაცა ყურცქვიტას
სარჩო შემოელია.
მოიპარა სტაფილო,
ხედავს, მის წინ მგელია!

არ იფიქროთ, ბატონო,
რომ ვზრუნავდი თავზეო.
თქვენთვის მინდა კალათა,
სტაფილოთი სავსეო.



# ეზოში დგას თოვლის პაპა

ეზოში დგას თოვლის პაპა
და ეს გვართობს პატარებს.
მხიარული ზამთრის დღეებს
ჩვენთან ერთად ატარებს.

გაზაფხულის მზის სხივები,
როცა ქვეყანად ჩნდებიან,
თურმე დნობას იწყებს თოვლი, –
ასე მითხრა ბებიამ.

რა მოელის თოვლის პაპას? –
არ მასვენებს ფიქრები,
როცა ზამთარს გაჰყვებიან
მოფარფატე ფიფქები.



# მწვანე ბაყაყები

ცხოვრება აქვთ მხიარული,
უყვართ ხტუნვით სიარული.
ერთ რამესაც მოვკარ ყური,
ცურვა მოსწონთ ბაყაყური.

როცა მთვარე გორავს ცაზე,
ყიყინებენ მაღალ ხმაზე.
ყველა ერთხმად, ყველა ერთად,
ათენებენ ღამეს თეთრად.

ო, ეს მწვანე ბაყაყები,
გამიჩინეს თავსატეხი.
სულ ბერავენ ლაყუჩებს,
ვერაფრით გავაყუჩე!

# კიტრი

კიტრი ამბობს: – სიზმრად,
მთელი ღამე წვიმდა.
მოდი, მოდი წვიმავ,
გავიზარდო მინდა.

და გასცქერის ლაჟვარდს
კიტრი ერთი ციდა,
მარგალიტის წვეთებს
ელოდება ციდან.

# წვიმაში

როცა ხტუნვა-ხტუნვით
ვბრუნდებოდი სახლში,
ხმაწკრიალა წვიმა
დამეწია გზაში.

რა სჯობია მართლაც
თვალუჟუჟუნა წვიმას,
როს წვეთები მისი
ალმასივით ბრწყინავს.

მოვეწონე მასაც,
არ მომშორდა ნამით.
მომაცილა მერე
სახლში გვიან ღამით.

. . .

წუწაობა წვიმით,
განა ვინმეს არგებს?
ახლა ბებო მკურნავს
და მაყლაპებს აბებს.

# ჩემი ქალაქი

ჩემს ნახატზე ქალაქის
ლამაზი და დიდი.
მოჩანს ლურჯი მდინარე,
განიერი ხიდით.

ცადაწვდილი ხეების,
ვარდების ბევრი.
რა ლამაზი ქუჩების,
რა ლამაზი სკვერი!

ამ სახლში კი მე ვცხოვრობ,
მეგობრებთან ერთად.
სულ ახალი სახლია,
მოქათქათე თეთრად.

მეგობრები ერთად ვართ
და არ ვიცით დარდი.
ჩემს ქალაქში ყველაა, –
კეთილი და კარგი.



# ახალი მთვარე

– გაილევა ზოგჯერ,
ემგვანება ნამგალს.
შეუცვლიან სახელს,
დაარქმევენ ახალს.

# ნუ, ნუ ტირი პაწაწინავ

ნუ, ნუ ტირი პაწაწინავ,
თორემ მოვა მგელი.
დაიძახებს, – ვინ ტირისო
თქვენთან ღამე მთელი.

მე კი ვეტყვი, ჩემო მგელო,
გთხოვთ წაბრძანდეთ ტყეში.
ვინც ტიროდა, აქ არ გახლავთ,
შეგეშალათ სხვებში.

# ახალი კაბა

– ეს რა კაბა შემიკერა
საყვარელმა ბებიამ.
ბაღში ჭყრფა ყვავილები
ჩემი ცქერით ჭკნებიან!



# ქსოვს კურდღელი წინდებს

თოვლი ფარავს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.
ბჟუტავს სანთლის ალი,
ელულება თვალი.

ქოხშიც როგორ თბილა,
შვილებს სძინავთ ტკბილად...
ათოვს, ათოვს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.

# თავკომბალები

გუბურაში ბავშვებო,
ამბავია ცუდი: –
ჰაწაწინა თავკომბალას
დაეკარგა კუდი!

მოსვენებაც დაეკარგა
ღამეს ათევს თეთრად.
თავკომბალას დები, ძმები,
კუდს ეძებენ ერთად.

მისი ძებნით გართულებმა
ვერ გაიგეს ვერა,
ამ სხმარტალში ბაყაყებად,
როგორ იქცა ყველა!

# გაკვეთილზე

– ყურადღებას ბარტყუებო,
აბა, სწორდით! სმენა!
დროა უკვე ისწავლოთ,
მშობლიური ენა.

რომელია ჩიტუნების
მშობლიური ენა?
ყველა ერთხმად პასუხობს, –
ჭიკჭიკი და სტვენა!



# დათუნა ზამთარში

ყინვასა და თოვას,
ბოლო აღარ უჩანს.
ბუნაგში კი სძინავს
დათუნია დრუნჩას.

არ აშინებს ყინვა,
არ აშინებს თოვა,
დაიძინებს, ვიდრე
გაზაფხული მოვა.

# იალაღებზე

სათიბები ღელავს
უკან დარჩა შარა.
პაწაწინა მწყემსი
თვალს ადევნებს ფარას.

რა ნათელი დღეა,
რა ზურმუხტი მთები.
ყურს ჩაესმის ტკბილი
სალამურის ხმები.

# კვეხარა მამალი

ქოთქოთებენ ქათმები: –
რა მამალი გვყოლია!
ნაცრის, იხვის დაჯაბნა,
მისთვის სულ იოლია!

იცით, თურმე რა უქნა,
მელაკუდას – ცუნცულას?
მოაგლიჯა ჩხუბის დროს,
გრძელი კუდი ფუმფულა!



მისი შიშით საქათმეს
აღარ სტუმრობს მელია.
მამალივით ყოჩაღი,
აბა, სხვა რომელია?

დააბიჯებს ამაყად,
ვარიების ამალით...
ვინ ყვებოდა ამ ზღაპარს? –
რა თქმა უნდა მამალი!



# უზრდელი ფისუნია



რა უზრდელი ვინმეა
ფისუნია თქვენი.
დანა-ჩანგალს არ ხმარობს,
საჭმელს ლოკავს ენით.

# ერთიც არ ურევია

მთიდან წყარო მოჩუხჩუხებს
ხმაწკრიალა ანკარა.
ლივლივებენ ლურჯ ტალღებში
ლიფსიტები პატარა.

თუმცა წყალში ლიფსიტები
ქვიშასავით ბევრია,
ჯადოსნური ოქროს თევზი,
ერთიც არ ურევია!

# მარცვალი

როცა მარცვალმა დალია წყალი,
მყის გაახილა მიწის ქვეშ თვალი.
სიცოცხლისადმი უსაზღვრო ლტოლვა,
ვეღარ გაუქრო ყინვამ და თოვლმა.

სინათლე უნდა და მზისკენ მიდის,
უკვე გამხდარა სიმაღლე თითის.
ცისა და მიწის ღვთიური მადლი,
ფარავდეს ყველას – ვინც მაღლა ადის!

# ანბანი

**ა**

არწივი დაფრინავს მაღლა,
არასდროს ეტყობა დაღლა.

**ბ**

ბეკეკამ ისწავლა რქენა,
ბარტყებმა ჟღურტული-სტვენა.

**გ**

გოჭი კი ვერ ძღება მჭადით,
გვაოცებს თავისი მადით.

**დ**

დედაა იმედი ჩვენი,
დედობა ნამდვილად შვენის.

**ე**

ერთია სამშობლო ქვეყნად! –
ეს ყველამ წარმოვთქვათ ერთხმად.

**ვ**

ვენახმა მოისხა ბევრი,
ვერ იტევს რქაწითელს ქვევრი.

**ზ**

ზაფხულში ადრიან ვდგები,
ზურმუხტის ფერია მთები.

**თ**

თითები უკრავენ ვალსებს,
თანდათან მუსიკა გვავსებს.

**ი**

ირმების გინახავთ ჯოგი?
იმათი ვინაა მჯობნი.

**კ**

კუდი აქვს მელიას გრძელი,
კარგი აქვს ხრიკებიც ძველი.

**ლ**

ლიკანი რა კარგი წყალია,
ლიკლიკებს და მომწონს ძალიან.

**მ**

მამამ თქვა: — ის მხოლოდ აქ არი,
მამული სამოთხის სადარი!

**ნ**

ნიანგებს რა უჭირთ ნეტავ,
ნამდვილად ტირიან, ვხედავ.

**ო**

ორკესტრი უკრავს და ვღელავ,
ოცნებაც ბრუნდება ყველა!

**პ**

პომიდვრის ჩითილებს მუდამ,
პატარა სარებიც უნდა.

**ჟ**

ჟირაფი გასცქერის თავსხმას,
ჟინჟღლავსო, — არ ჩქარობს წასვლას.

რ

„რულეტი" ლანგარზე დევსო,
რატომ არ მივართვა სხვებსო?

ს

საქათმეს მიადგა მელა
საოცრად მიყვარხართ ყველა!

ტ

ტახტზე რომ ფისუნას სძინავს,
ტახტისქვეშ მივუჩენ ბინას.

უ

ურემი მიადგა ეზოს,
უზადო ტრანსპორტი ერთ დროს.

ფ

ფანჯარას თუ აჩუქებთ მელას,
ფრთოსანსაც დახატავს ყველას.

ქ

ქათამი წიწილებს ეძებს,
ქათიბი უმშვენებს გვერდებს.

ღ

ღუზები ჩაუშვეს გემებმა.
ღელვაა, ზღვას ასე ენება.

ყ

ყვანჩალამ მოგვპარა ყველი,
ყულაბაც წაიღო ძველი.

შ

შოთები ცხელ-ცხელი კარგია,
შიმშილი არაფრად გვარგია.

**ჩ** ჩურჩხელებს, მზეზე რომ თბებიან,
ჩემთვის ხომ ამზადებს ბებია?

**ც** ცხენები კარგია შავრები,
ცეცხლივით უელავთ თვალები.

**ძ** ძაღლია ეზოში დიდი,
ძილი აქვს საოცრად მშვიდი.

**წ** წრუწუნას მიართვეს ერბო,
წრიპინებს, — რა ცოტა მერგო.

**ჭ** ჭრიჭინა ხანდახან ურევს,
ჭრიჭინით წაიღებს ყურებს.

**ხ** ხორბალი — სიმდიდრე ჩვენი,
ხოდაბუნს რარიგად შვენის.

**ჯ** ჯორი თუ გაჩერდა გზაში,
ჯოხიც ვერ უშველის მაშინ.

**ჰ** ჰამაკში წოლაა კარგი,
ჰაერიც სუფთაა, მარგი.

# სარჩევი


ვარდობისთვეს მოგილოცავ..............3
სამშობლო.......................................4
დედას.............................................5
მელას სკივრი..................................6
გაზაფხული მოდის .........................7
კარტოფილი.....................................8
საფრთხობელა..................................9
თაგუნები........................................10
დავიძინებ ტკბილად........................11
მზე და პომიდორი...........................11
მზე და წვიმა დარბენ......................12
გაზაფხულზე...................................12
პინგვინები......................................13
თუთიყუში არა................................14
ზამთარია.........................................15
მამალი და მელია............................16
საქმიანი ვაცი ................................16
თოვლის პაპას ხურჯინი...................17
ჭია-მაია...........................................18
ბარტყები.........................................19
ბაბუაწვერა......................................19
კურდღელმა თქვა.............................20
აკვარიუმში......................................20
თხუნელა და ზღარბი.......................21
სოკო ..............................................22
ბედნიერება......................................23
შემოდგომის ფოთლები ..................23
დააცადეთ პაწიას ..........................23
ჯეჯილი............................................24
მჭადებს აცხობს ბებო......................24
მზე თამაშობს ლურჯ ტალღებში.....24
მელას იავნანური............................25
მზესუმზირა.....................................26
აბეზარი ფინია................................27
რას იზამდა ბეჰემოთი.....................28
ასფეხა.............................................29
მარიამი...........................................29
მხიარული წვეთები..........................30
ციყვი...............................................31
კოდალა...........................................32
ჩემი ბეკეკა......................................33
გაიძახის ბეჰემოთი..........................33
ხახვი...............................................33
მხიარული ფიქრები.........................34
ქოხში..............................................34
მშობლიური მხარე...........................34
ტრაბახა ყვავი.................................35
მამალი.............................................36
ბაყაყი და ტივი................................37
პეპელა............................................37
მეგობრობა უნდა............................38
ტკბილი კვერი.................................38
ზღვაზე............................................39
ცისარტყელა...................................39
იხვი და ჭუჭულები .......................40
აანათებს ოქროს ფარანს ..............41
ავი ლეკვი.......................................41
ბაზრობა ტყეში .............................42
დათუნია თეთრი ფერის..................43
ძაღლის ოცნება...............................44

განა ვინმე მოერევა.......45
თუთიყუშის სიზმარი.......45
შეხვედრები.......46
მხიარული წვიმა.......46
სირაქლემა.......47
აღარ მინდა ვჭამო ფაფა.......48
დილა.......49
ყველა ხეზე ჩიტი გალობს.......49
მელია.......49
პირველი თოვლი.......50
ეს ზამთარიც მიილევა.......50
ბეკეკა.......51
კურდღელი და ქოლგა.......52
მშიშარა დათუნია.......53
ყვავი ზამთარში.......53
ბატები.......53
საახალწლო ნაძვის ხე.......54
ზღვა და წვიმა.......54
ბაყაყი.......55
მეზღვაური ვიქნები.......56
ღამის პეიზაჟი.......57
ციცინათელა.......57
პაწაწინა ბარტყო.......58
ზღარბუნა.......59
გვირილები.......60
ფისოები სახურავზე.......61
ნაკადული.......61
მზეს დაეძებს ყველგან ქარი.......62
მზე.......62
წიწილები.......63
ქონდრისკაცი.......64
როცა წვება ბინდი.......65
ჭიანჭველები.......65
ბურთები.......65
ბებია და შვილიშვილი.......66
ჩემი კრავი.......66
გუბე.......66
ია და გაზაფხული.......67
დედა ჩიტი.......68
კბილის ექიმთან.......69
ტალღა.......69
ცაზე კაშკაშა მზეა.......70
ფისოს ფიქრები.......70
მედუზები.......70
კურდღელი და მგელი.......71
ეზოში დგას თოვლის პაპა.......72
მწვანე ბაყაყები.......73
კიტრი.......73
წვიმაში.......74
ჩემი ქალაქი.......74
ახალი მთვარე.......75
ნუ, ნუ ტირი პაწაწინავ.......75
ახალი კაბა.......76
ქსოვს კურდღელი წინდებს.......77
თავკომბალები.......77
გაკვეთილზე.......78
დათუნა ზამთარში.......78
იალაღებზე.......78
მკვეხარა მამალი.......79
უზრდელი ფისუნია.......80
ერთიც არ ურევია.......81
მარცვალი.......81
ანბანი.......82

დაიბეჭდა გამომცემლობა ,,მერიდიანში“
ალ.ყაზბეგის გამზ. №45
E-mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

